| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N170440026 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 27.04.2017 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ელისო შიხიაშვილი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ლესელიძის ქ.#17 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 2 93-30-83 599446826 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 30182117596017 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდაშვიდ აპრილს მე, ელისო შიხიაშვილი, ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ლესელიძის ქ. №17-ში, იაგუბ ალიევის (დაბ: 04.07.1985წ. მისი განცხადებით მცხ: აზერბაიჯანი, ქ. ბაქო, ქუჩა ნასიმი, სახლი #37, ბინა 54, პასპორტი AZE # P4373099, გაც. 22.02.2011წ. აზერბაიჯანის მოქალაქე) და რუსული ენის თარჯიმნის გიორგი ზარქუას (დაბ.09.03.1988წ. პირადი №01005013806) ხელმოწერას პარტნიორის გადაწყვეტილებაზე. **მე შევამოწმე მათი პირადობა, მათ მიერ** წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ასევე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა, თარჯიმანი გავაფრთხილე, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე. მან დაადასტურა, რომ ჯეროვნად იცის რუსული ენა და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე პარტნიორის გადაწყვეტილებას, რასაც ვამოწმებ. თითოეულ ეგზემპლიარზე ოთხი ხელმოწერა ქართულ და რუსულ ენაზე.

გადახდილია 8-00 ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის ( 11 ივნისი 1998 წ. ) 29-ე მუხლისა, ასევე დღგ 1-44 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლებისა. ასევე სარეგისტრაციო მოსაკრებელი (ოთხი ეგზემპლიარისათვის) 2-00 ლარი, (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 31[1]-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ელისო შიხიაშვილი

შპს „ასადოვ ფრუტი"-ს (ს.ნ. 205225576) ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორის

გადაწყვეტილება

თბილისი

27. 04. 2017 წ.

**ბ-ნი იაგუბ ალიევი** (დაბ.: 1985 წლის 04 ივლისს, აზერბაიჯანის შ.ს.ს. მიერ 22.02.2011 წ. გაცემული პასპორტის № -**P4373099**, მისი განცხადებით მცხოვრები და რეგისტრირებული შემდეგ მისამართზე: აზერბაიჯანი, ქ. ბაქო, ქუჩა -ნასიმი,სახლი №37, ბინა №54 ), როგორც შპს ,,ასადოვ ფრუტი"-ს (**„Asadov Fruit" LLC** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დადგენილი წესით 2007 წლის 8 ოქტომბერს რეგისტრირებული ქ.თბილისის (საქართველო) საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო №205225576, რეგისტრირებული ოფისი მისამრთზე: ნუცუბიძის ქ., 133, თბილისი, 0186, საქართველო) ერთადერთი დამფუძნებელი და საწესდებო კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელი,

**იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:**

1. წინამდებარე გადაწყვეტილების საფუძველზე, შეიცვალოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ,,ასადოვ ფრუტი"-ს სახელი და გახდეს **შპს „ასადოვ კაპიტალ ჯორჯია" („Asadov Capital Georgia" LLC)**.
2. შესაბამისი ცვლილებები სახელში შეტანილ იქნას საზოგადოების წესდებაში და დარეგისტრირდეს ახალი წესდება საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.
3. საზოგადოების დირექტორად დარჩეს ბ-ნი **ემილ იაგუბოვი** (აზერბაიჯანის მოქალაქე პასპორტი № P3778473). საზოგადოების ყველა სხვა მონაცემი (მათ შორის წსდების პირობები) დარჩეს უცვლელი.
4. ზემოთხსენებული ცვლილებების განსახორციელებლად, წინამდებარე გადაწყვეტილება დარეგისტრირდეს საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

იაგუბ ალიევი

ხელმოწერა: _____